ნასყიდობის ხელშეკრულება N42

ხარაგაული, სოფელი ზვარე 2019წ.

§1. ხელშეკრულების მხარეები

ეს ხელშეკრულება დადებულია მხარეებს შორის: ერთის მრივ, , ი/მ „ალექსანდრე ჯოჯიშვილი“, მისამართი: ქ.ხაშური , შემდეგში: „**გამყიდველი**“ და მეორეს მრივ, სსიპ-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ზვარეს საჯარო სკოლა, წარმოდგენილი მისი დირექტორის, ნატო შათირიშვილის სახით, მისამართი: ხარაგაული. სოფელ ზვარე, შემდეგში: „**მყიდველი**“.

§2. ნასყიდობის საგანი

(1) ხელშეკრულების საგანია საოფისე ავეჯის, კერძოდ პუფების (CPV: 39100000) ნასყიდობა.

§3. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

(1) გამყიდველი ვალდებულია:

- გადასცეს მყიდველს ნასყიდობის საგანი;
- მიიღოს ნასყიდობის ფასი;
- მიაწოდოს მყიდველს ნასყიდობის საგანთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაცია – არსებული მდგომარეობა, ტექნიკური პირობები და ა.შ.;
- გადასცეს მყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი.

(2) მყიდველი ვალდებულია:

- გადაუხადოს გამყიდველს ნასყიდობის ფასი შეთანხმებულ ვადაში;
- შეამოწმოს ხარისხი;
- მიიღოს შეძენილი ნივთი.

(3) გამყიდველი იღებს ვალდებულებას არ დადოს სხვა პირებთან ისეთი გარიგება, რომელიც უკავშირდება ნასყიდობის საგანის განკარგვას ან

Aleksandre Jojishvili Digitally signed by Aleksandre Jojishvili Date: 2019.12.11 14:19:27 +03'00'

გამყიდველი_____ მყიდველი_____

სარგებლობის უფლებით თუ მფლობელობაში გაცემას ან/და ვალდებულებით დატვირთვას თუ რაიმე მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოყენებას.

§4. პასუხისმგებლობა ნივთობრივ ნაკლზე

(1) გამყიდველი პასუხისმგებელია ნასყიდობის საგნის ხარისხსა თუ სხვა ნივთობრივ ნაკლზე, რომელიც აღმოაჩნდება მას.

(2) გამყიდველი იძლევა გარანტიას, რომ ნივთს არ გააჩნია რაიმე დაზიანება.

(3) მყიდველის მიერ შემოწმებულია და მოწონებულია ნივთის ნივთობრივი/ხარისხობრივი მდგომარეობა.

§5. პასუხისმგებლობა უფლებრივ ნაკლზე

(1) გამყიდველი პასუხისმგებელია ნივთის უფლებრივ ნაკლზე, რომელიც წარმოშობილია მისი მყიდველის საკუთრებაში გადაცემამდე.

(2) თუ ამ ხელშეკრულების პერიოდში გამყიდველის მესამე პირების წინაშე ვალდებულების არსებობის გამო ნივთს დაედება ყადაღა ან უზრუნველყოფის სხვა ღონისძიება, მაშინ გამყიდველი ვალდებული იქნება გაათავისუფლოს ნივთ უზრუნველყოფის ღონისძიებისაგან ან/და მყიდველს დაუბრუნოს მის მიერ გადახდილი ნასყიდობის ფასი.

§6. ნასყიდობის ფასი და მისი გადახდის წესი

(1) ნასყიდობის საგნის ფასი შეადგენს **420 (ოთხას ოცი)** ლარს.

(2) ნასყიდობის ფასის გადახდა ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

(3) ნასყიდობის ფასის გადახდა უნდა დასტურდებოდეს დოკუმენტურად.

(4) ნასყიდობის ფასის გადახდა ხდება ნაღდი ან/და უნაღდო ანგარიშსწორებით.

(5) დაფინანსების წყარო საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. დაფინანსების კოდით 320213.

§7. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტა

(1) თითოეული მხარე პასუხს აგებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის.

Aleksandre Jojishvili
Digitally signed by Aleksandre Jojishvili
Date: 2019.12.11 14:20:09 +03'00'

გამყიდველი_____ მყიდველი_____

(2) მხარე ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორული გარემოებები) ან მეორე მხარის ბრალის შედეგად.

(3) დაუძლეველი ძალად მიიჩნევა ისეთი ფაქტის ან გარემოების არსებობა, რის გამოც ხელშეკრულების მხარე ვერ ასრულებს ვალდებულებას, კერძოდ:

- ხანძარი და აფეთქება, წყალდიდობა, სტიქიური უბედურება;
- სამხედრო მოქმედება, აჯანყება, სამოქალაქო ომი.

(4) თითოეული მხარე ვალდებულია მეორე მხარეს შეატყობინოს დაუძლეველი ძალის არსებობის შესახებ, რის გამოც იგი ვერ ახერხებს ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

(5) ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა მხარეებს შორის წყდება შეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში კი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოს მიერ.

§8. ხელშეკრულების შეწყვეტა

(1) ხელშეკრულება მხარეთა შეთანხმებით შეიძლება ნებისმიერ დროს შეწყდეს.

(2) ხელშეკრულება წყდება ნასყიდობის ფასის ვადაზე ადრე სრულად გადახდით, რა დროსაც გამყიდველი ვალდებულია მოახდინოს ნივთის საკუთრებაში გადაცემა და მყიდველის სახელზე რეგისტრაცია.

(3) მყიდველს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ გამყიდველი მას არ გადასცემს შეძენილ ნივთს.

(4) ხელშეკრულება შეწყდება ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ წერილობითი შტყობინებით.

(5) გადახდის გადაცილებისას გამყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება მყიდველისათვის წერილობითი შეტყობნებით და მოითხოვოს ნივთის დაბრუნება. დაბრუნების შემთხვევაში ნივთს არ უნდა გააჩნდეს დაზიანება.

Aleksandre Jojishvili Digitally signed by Aleksandre Jojishvili Date: 2019.12.11 14:20:40 +03'00'

გამყიდველი _____ მყიდველი_____

§9. დამატებითი პირობები

(1) ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის მომენტიდან.

(2) წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად, რომელთაც აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.

(3) ამ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შეუძლიათ მხარეებს შეთანხმებით, წერილობითი ფორმით ახალი გარიგების დადებით.

§10. მხარეთა ხელმოწერა

(1) გამყიდველი:

ი/მ „ალექსანდრე ჯოჯიშვილი“

ს/ს „ლიბერთი ბანკი“

კოდი:LBRTGE22

ა/ა:GE04LB0112138168578000

ს/კ: 57001007384

ტელ: 599 538 922

ი/მ „ალექსანდრე ჯოჯიშვილი“:

Aleksandre Jojishvili Digitally signed by Aleksandre Jojishvili Date: 2019.12.11 14:21:16 +03'00'

(2) მყიდველი:

სსიპ-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ზვარეს საჯარო სკოლა

ხარაგაული. სოფელი ზვარე

ს/ს: „ლიბერთი ბანკი“

ა/ა: GE29LB0121137454531000

ს/კ:243572709

დირექტორი: ნატო შათირიშვილი

Aleksandre Jojishvili Digitally signed by Aleksandre Jojishvili Date: 2019.12.11 14:21:44 +03'00'

გამყიდველი _____ მყიდველი_____